გამგებლის ანგარიში

2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 54-ე მუხლის 1 პუნქტის ,,ბ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

მუნიციპალიტეტის 2016 წლის 12 თვის შემოსულობებმა შეადგინა 13 933.9 ათასი ლარი, ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები ფინანსური დახმარებებისა და საანგარიშო პერიოდისათვის არსებული ხარჯების დასაფარავად მიმართული თავისუფალი ნაშთის 728.6 ათასი ლარის ჩათვლით, აქედან გადასახადები: სულ 1 051 4 ლარი, მ/შორის ფიზიკური პირებიდან 396,3 ლარი. ქონების გადასახადში შემოსულია 655.1 ათასი ლარი. სხვა შემოსავლებმა შეადგინა 1 756,6 ათასი ლარი. პროცენტის სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 4,7 ათასი ლარი. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი შემოსულია 1 503, 9 ათასი ლარი. შემოსავალმა მიწის იჯარიდან და მართვაში - 5,1 ათასი ლარი შეადგინა. „საქონელისა და მომსახურების რეალიზაცია“ - საკასო შესრულების შედაგად მიღებული გვაქვს 19,8 ათასი ლარი, მ/ შორის ადმინისტრაციული მოსაკრებლების და გადასახდელების საერთო შემოსავლებმა 19,1 ათასი შეადგინა, ხოლო მომსახურების გაწევიდან 0,7 ათასი ლარი. შემოსავლები ჯარიმებიდან და საურავებიდან 77,0 ათასი ლარია შემოსული, შერეული და სახვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 146,1 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულია 370.7 ათასი ლარი; ფინანსური დახმარებები (ტრანსფერები) მიღებულია ცენტრალური ბიუჯეტიდან 10 .026.6 ათასი ლარი, აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 2 707.4 ათასი და მიზნობრივი ტრანსფერი 183,0 ათასი ლარი. სპეციალური დანიშნულების (კაპიტალური) ტრანსფერი 6 896.2 ათასი ლარია შემოსული. მიმდინარე ტრანსფერი 240,0 ათასი ლარი (2016 წლის ვალდებულებების შეუფერხებლად დასაფინანსებლად).

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გადასახდელების გეგმა აღნიშნული პერიოდისათვის შეადგენდა 14 142,4 ათას ლარს (ნაშთის ჩათვლით). 12 თვის შესრულებით ფაქტიური ხარჯი შეადგენს 13 088,0 ათას ლარს. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს შენახვაზე 2016 წელს გეგმით გათვალისწინებული იყო 680,0 ათასი ლარი, 12 თვის ათვისება შეადგენს 636.65 ათას ლარს.(94%)

აღმასრულებელი ორგანოების შენახვაზე გეგმით 2016 წელში გათვალისწინებული იყო 1 383.8 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებით 1 371.27 ათასი ლარი გაიხარჯა, რომელიც შეადგენს წლიურის 99,0%;

სარეზერვო ფონდი 2016 წელს 82.0 ათასი ლარით განისაზღვრა.
გახარჯულია 61.76 ათასი ლარი.

- თავდაცვის ღონისძიებებზე – სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის შენახვაზე გეგმით გათვალისწინებულია 117,8 ათასი ლარი (მიზნობრივი ტრანსფერი) გახარჯულია 107.5 ათასი ლარი, წლიურის 91,2%.

- რაც შეეხება საგზაო ინფრასქრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციას გათვალისწინებული 788.2 ათასი ლარის ნაცვლად (35,0 ათასი ლარი საბიუჯეტო სახსრებით) ფაქტიურმა ათვისებამ 831.5 ათასი ლარი, ანუ (105.5%) შეადგინა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: გზების რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება, ასევე, ზამთრის პერიოდში ჭარბი თოვლის საფარისაგან გზების განთავისუფლება. აგრეთვე, საჭამიასერი-კოხნარის დამაკავშირებელი გზის და შუაფარცხმის გზის ასფალტო ბეტონის საფარის რეაბილიტაცია. დაბა ჩოხატაურში ნინოშვილის, გურიის, დუმბაძისა და კალანდაძის ქუჩების შემაერთებელი მონაკვეთის, გოგებაშვილის ქუჩის მეორე ნაწილის და კოსტავას ქუჩების ა/ბეტონის საფარითა და ბეტონის სანიაღვრე არხებით მოწყობა და გოგიბერიძისა და ბენდელიანის ქუჩებზე ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები. სოფ. ერკეთის საავტომობილო გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა. გორაბერეჟოული - ჯვარცხმის დამაკავშირებელი გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა.

გასული წლის ბიუჯეტში სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისათვის გათვალისწინებული იყო - 1.5 ათასი ლარით; ათვისება 1.5 ათასი ლარი, წლიურის (100%.)

- 2016 წელში ა(ა)იპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე საგანმანათლებლო საამღზრდელო დაწესებულება ,,მომავალი“-ს შენახვაზე 12 თვის შესრულებით გახარჯულია 966.39 ათასი ლარი.

ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის შენახვაზე 101.5 ათასი ლარი იყო გათვალისწინებული, ფაქტიურად გახარჯულია 98.55 ათასი ლარი,

- განათლების სისტემის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსებისათვის ვითვალისწინებდით 32.3 ათასი ლარს, 12 თვის შესრულებით გახარჯულია 28.35 ათასი ლარი, წლიურის 87.8 %.
- ა(ა)იპ სპორტის განვითარების ცენტრის სუბსიდირებაზე გეგმით – 165.0 ათასი ლარი გამოიყო, გახარჯულია 161.2 ათასი ლარი ,წლიურის 97.7 %.
- ა(ა)იპ სასპორტო სკოლის სუბსიდირებაზე გეგმა 273.0 ათას ლარს ითვალისწინებდა, გახარჯულია 267.54 ათასი ლარი, წლიურის 98%.
- ა(ა)იპ. საფეხბურთო კლუბ ,,ბახმარო“ – ს სუბსიდირება გეგმით 72.6,0 ათასი ლარი, გახარჯულია 77.1 ათასი ლარი,
- 2016 წელში ა(ა)იპ კულტურის ცენტრის სუბსიდირებაზე გეგმით გათვალისწინებული იყო 396.2 ათასი ლარი, გახარჯულია 397.5
- ა(ა)იპ საბიბლიოთეკო გაერთიანების სუბსიდირება გეგმით 143.0 ათასი ლარია ფაქტიურად 139.6 ათასი ლარი გაიხარჯა (97.6%)
- ა(ა)იპ სამუზეუმო გაერთიანება გეგმით – 170.3 ათასი ლარი, გაიხარჯა 167.9 ათასი ლარი (98.6%).
- ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლის სუბსიდირებისათვის გათვალისწინებული იყო 105.6 ათასი ლარი, გაიხარჯა 105.4 ათასი ლარი(99.8%)
- ა(ა)იპ სამუსიკო სკოლის სუბსიდირება გეგმით 106.6 ათასი ლარი, დაიხარჯა 102,0 ათასი ლარი(95.7 %).
- ახალგაზრდული ღონისძიებების და ტურიზმის პროექტების თანადაფინანსებას გეგმით 18.8 ათასი ლარი უნდა მოხმარდეს ფაქტიურად გაიხარჯა 15.3 ათასი ლარი(81.4%).
- საახალწლო ღონისძიებებზე გეგმით გათვალისწინებულია 8,0 ათასი ლარი, დაიხარჯა 4,9 ათასი ლარი(61%)
- 2016 წელში რელიგიის დაფინანსებაზე გეგმით -11,0 ათასი ლარი გამოიყო , გაიხარჯა 10.4 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვას გეგმით მოხმარდება 101,0 ათასი ლარი, (მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი - 66 ,0 ათასი ლარი და 35.0 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტით, საიდანაც დაფინანსდება საფერშლო პუნქტები), გახარჯულია 96.1 ათასი ლარი (95,1%).

საანგარიშო პერიოდში შერჩევითი პრინციპით, მუნიციპალიტეტის რვა ა(ა)იპ-ში ჩატარდა შიდა აუდიტორული შემოწმება:

ა.ა.ი.პ სამხატვრო სკოლა ფინანსური აუდიტი ბრძანება N54 28/01/2016

შემოწმებამ მოიცვა 2014-2015 წლის პერიოდი. შემოწმება ჩატარდა იმ ბუღალტრული დოკუმენტაციის საფუძველზე რომელიც წარმოდგენილი იქნა ა(ა)იპ „სამხატვრო სკოლი“-ს ხელმძღვანელობის მიერ.

ჩატარებული შემოწმებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მიგვაჩნია რომ, ა(ა).ი.პ. ჩოხატაურის ,,სამხატვრო სკოლი”-ს მიერ წარმოდგენილი 2014-2015 წლების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია ობიექტურად და სამართლიანად გვიჩვენებს მის ფინანსურ მდგომარეობას. სისტემა შეფასდა, როგორც დადებითი, შესაბამისად, ოპერაციების ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვის უზუსტობის რისკი განისაზღვრა, როგორც დაბალი;

ა(ა).ი.პ ჩოხატაურის სკოლამდელი და სკოლისგარეშე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულება ,,მომავალი”-ს საკვები პროდუქტების შემენა შენახვა და განაწილების პროცესის და მასთან დაკავშირებული საკითხების აუდიტი ბრძანება N264 22/02/2016

შემოწმებამ მოიცვა გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაღებში და ბაგა ბაღებში:

1. გაერთიანების მიერ დამტკიცებული, კვების პროდუქტების ნორმების შესაბამისობა, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N78 დადგენილებასთან.

2. წლის განმავლობაში შესაძენი საკვები პროდუქტების რაოდენობის განსაზღვრის, მეთოდოლოგიის შესწავლა.

3.შესყიდვის პროცესის ანალიზი.

4.პროდუქტების განაწილების წესისა და შესაბამისი დოკუმენტების ანალიზი.

5.გაერთიანებში ბუღალტრული ნაშთისა და ბაღებში არსებული ფაქტობრივი ნაშთების თანხვედრის შემოწმება.

შემოწმებამ აჩვენა რომ, გაერთიანების მიერ გატარებული ფინანსური ოპერაციები ვერ უზრუნველყოფენ პროცესის გამჭირვალეობასა და რისკის ფაქტორების მინიმუმამდე დაყვანას,რაც აუდიტის ჯგუფის მიერ ასახული იქნა ანგარიშის პროექტში და გაცნობილ იქნა გაერთიანების მენეჯმენტისათვის, რაზეც მათ პრეტენზია არ გამოუთქვამთ. შემოწმების დასრულების შემდეგ შესყიდულ იქნა სპეციალური კომპიუტერული ცხრილები და ბაღის სპეციალისტთა ჯგუფმა გაიარა შესაბამისსი ტრეინინგ კურსი პროგრამაში მუშაობისათვის რათა უზრუნველყოფილ იქნას საჭირო საკვები პროდუქტების ნაშთების მართვა.

ა.(ა).ი.პ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,,საბიბლიოთეკო გაერთიანები“-ს ფინანსური აუდიტი ბრძანება N536 11/04/2016წ.

ჩატარებული შემოწმებით დადგინდა,რომ ა(ა).ი.პ. ,,საბიბლიოთეკო გაერთიანება“-ს 2015-2016წლის I კვარტალში ადგილი ქონდა შემდეგ დარღვევებს:

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 207 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ,,ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის ცალკეული პროცედურების გაუთვალისწინებლობა.

ქონების ინვენტარიზაციის განხორციელებისას საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული ,,საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის წესის“ გაუთვალისწინებლობა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N435 ბრძანებით დამტკიცებული ,,ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის წესის გაუთვალისწინებლობა.

აღმოჩენილი ცალკეულ ნაკლოვანებანი სრულად არის ასახული შემოწმების ანგარიშში.

გაერთიანების მუშაობის დადებით შედეგად შეიძლება აღინიშნოს, 2012-2013-2014 წლების ფინანსური აუდიტის ანგარიშში მიცემული რეკომენდაციები 2015 წლის მუშაობისას გათვალისწინებულია და რიგი ნაკლოვანებებისა გამოსწორებულია.

ჩვენს მიერ ჩატარებული შემოწმებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მიგვაჩნია რომ, ა(ა).ი.პ ,,საბიბლიოთეკო გაერთიანება“-ში ჩატარებულ 2015- 2016 წლის I კვარტლის საქმიანობის ფინანსურ აუდიტის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია ობიექტურად და სამართლიანად გვიჩვენებს მათ საქმიანობის ფინანსურ შედეგებს 2015-2016 წწ-ში.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას გაერთიანების ფუნქციონირება არ არის მაღალი რისკის შემცველი. თუმცა ის საჭიროებს მოქმედ კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.

ა.ა.ი.პ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი “-ს ფინანსური აუდიტი ბრძანება N695 06/05/2016 წ.

ჩატარებული შემოწმებით დადგინდა, რომ ა(ა).ი.პ. ,,მოსწავლე -ახალგაზრდობის სახლი“-ს 2015-2016 წლის I კვარტალში ადგილი ქონდა შემდეგ დარღვევებს:

საქართველოს ფინანსთა მინისტრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ,,ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის ცალკეული პროცედურების გაუთვალისწინებლობა.

აღმოჩენილი ცალკეულ ნაკლოვანებანი სრულად არის ასახული შემოწმების ანგარიშში.

მუშაობის დადებით შედეგად შეიძლება აღინიშნოს, 2013-2014 წლების ფინანსური აუდიტის ანგარიშში მიცემული რეკომენდაციები 2015 წლის მუშაობისას გათვალისწინებულია და რიგი ნაკლოვანებებისა გამოსწორებულია.

ჩვენი აზრით, ა(ა).ი.პ ,,მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი“-ში ჩატარებულ 2015- 2016 წლის I კვარტლის საქმიანობის ფინანსურ აუდიტის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია ობიექტურად და სამართლიანად გვიჩვენებს მათ საქმიანობის ფინანსურ შედეგებს 2015-2016 წლეებში.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას რომ, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ფუნქციონირება საჭიროებს მოქმედ კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.

ა.(ა)ი.პ. „კულტურის ცენტრი“-ს ადამიანური რესურსების შესაბამისობის აუდიტი ბრძანება N930 01/06/2016წ.

შემოწმებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ არსებული ფინანსური რესურსისა და ადამიანური რესურსის ხარჯზე ორგანიზაცია ახერხებს დასახული მიზნის მიღწევას. თუმცა იმისათვის, რომ პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობები (ტრეინინგები, გადამზადებები...) მეტად ეფექტიანი და შედეგიანი იყოს, მნიშვნელოვანია, რომ მათი განხორციელება სწორედ სამუშაო აღწერილობაში ასახული მიმართულებებით ხდებოდეს. კერძოდ თუ რა ტიპის საქმიანობაში (აღწერილობაში მოცემულთაგან) აწყდება თანამშრომელი ყველაზე მეტ პრობლებას, რაში სჭირდება მას ყველაზე მეტად დახმარება, რომ სწორედ ამ კუთხით მოხდეს მისი პროფესიული გადამზადება. სამუშაოს აღწერის და მის საფუძველზე განხორციელებული თანამშრომლის შეფასების გარეშე პროფესიული განვითარების ინიციატივები დროისა da სხვა რესურსების ფუჭი ხარჯვა იქნება.

ა.(ა)ი.პ. „ჯანდაცვის ცენტრი“-ს შესაბამისობის აუდიტი ბრძანება N 1488 10/08/2016წ

ჩატარებული შემოწმებით დადგინდა, რომ ,,ჯანდაცვის ცენტრ“-ს არ აქვს ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა. ინსტრუქციის

შესაბამისად არ ხდება სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა. სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის გამოუყენლობა გავლენას ახდენს სამეურნეო ოპერაციების შედეგად გაფორმებული დოკუმენტების საიმედოებაზე, ქრონოლოგიურად დალაგების სიზუსტესა და სრულ აღრიცხვაზე. ცენტრის მიერ შესამოწმებელ პერიოდში არ არის შედგენილი ორგანიზაციის ბალანსი და ბალანსის დანართი ფორმები.

ნაკლოვანებებია ინვენტარიზაციის ჩატარებისა და შესაბამისი აქტების გაფორმების საქმეში.

სისტემატური ხასიათი აქვს ხელშეკრულებით მომუშავეთა ხანგრძლივი პერიოდით აყვანის ფაქტებს.

დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მოთხოვნები. სახელმწიფო შესყიდვების კუთხით გამოვლენილია შენიშვნები.

ასევე გამოვლენილია ცალკეული ნაკლოვანებანი, რაც სრულად არის ასახული შემოწმების ანგარიშში, ასევე გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები.

ა.(ა.)ი.პ. „სპორტის განვითარების ცენტრი“-ს აუდიტორული შემოწმება ბრძანება N1772 29/09/2016წ

აუდიტორული შემოწმება ჩატარდა იმ დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელიც წარმოდგენილი იქნა ა(ა).ი.პ. ჩოხატაურის ,,სპორტის განვითარების ცენტრი“-ს ხელმძღვანელების მიერ.

გამოვლენილია რიგი ნაკლოვანებებისა:

ქონების ინვენტარიზაციის განხორციელებისას საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის #605 ბრძანებით დამტკიცებული ,,საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“-ს გაუთვალისწინებლობა, რამაც სამომავლოდ შიდა აუდიტის ობიექტი შესაძლოა დააყენოს არასასურველი სამართლებრივი შედეგების წინაშე.

ა(ა)იპ „კურორტი ბახმარო“-ს აუდიტორული შემოწმება ბრძანება N2034 24/11/2016წ.

აუდიტორული შემოწმება ჩატარდა იმ დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელიც წარმოდგენილი იქნა ა(ა).ი.პ. ჩოხატაურის ,,კურორტ ბახმარო‘‘-ს ხელმძღვანელების მიერ.

შესამოწმებელ პერიოდში არ იყო შედგენილი ორგანიზაციის ბალანსი და ბალანსის დანართი ფორმები (დასრულებული სახით მივიღეთ შემოწმების პერიოდში).

ნაკლოვანებებია ინვენტარიზაციის ჩატარებისა და შესაბამისი აქტების გაფორმების საქმეში.

სახელმწიფო შესყიდვების კუთხით გამოვლენილია შენიშვნები.

ასევე გამოვლენილია ცალკეული ნაკლოვანებანი.

სამსახურის მიერ პერიოდულად ტარდება, პრევენციული და კონტროლის ღონისძიებანი, ადამიანური რესურსის გამოყენებასა და საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გეგმიური ხარჯვის მიზნით.

2016 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური და ჯანმრთელობის პროგრამების დაფინანსებისათვის გათვალისწინებული იყო 553 ათასი ლარი. ხარჯმა კი შეადგინა 625,19 ლარი, რაც პროგრამით გათვალისწინებულზე 72,19 ათასი ლარით მეტია.

აღნიშნული სახსრები მოხმარდა ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების დაფინანსებას, რომლის ფარგლებში დახმარება გაეწია:

1. მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ 64 ოჯახს, დახმარების თანხამ შეადგინა 86,500 ლარი (პროგრამით გათვალისწინებული იყო 90,0 ათასი ლარი).
2. იძულებით გადაადგილებულ პირთა მომსახურების ასიგნებიდან, რომელიც ითვალისწინებდა 11 000 ლარს, მხოლოდ გახარჯული იქნა 2 550 ლარი და მომსახურება გაეწია 55 მოქალაქეს (პროგრამასთან 8,450 ლარით ნაკლები).
3. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახებს გაეწია 14,900 ლარის მომსახურება, რაც 600 ლარით მეტია პროგრამით გათვალისწინებულთან შედარებით (პროგრამით 14,300 ლარი).

აღნიშნული მომსახურების დაფინანსებისათვის პროგრამით გათვალისწინებული იყო 241,100 ლარი, ხარჯმა კი შეადგინა 251,08 ლარი (10,0 ათასი ლარით მეტი).

ამ მხრივ მომსახურება გაეწია :

1. ფენილკეტონურიით დაავადებულ 4 პირს, დახმარების ხარჯმა შეადგინა 10 500 ლარი.

   (პროგრამა -9 000ლ.)

2. 18 წელს ზევით ასაკის პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა 65001-დან 200 000-ის ჩათვლითაა, მომსახურება მიიღო 934 მოქალაქემ, რომელთა მომსახურების თანხამ 134, 964 ლარი შეადგინა (პროგრამა 50,0 ათასი ლარი).
3. მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატულ შშმ პირების სტაციონარულ სამედიცინო მომსახურებაზე და მედიკამენტების შეძენისათვის გაწეული იქნა 7 500 ლარის მომსახურება.
4. ონკოდაავადებულ 130 მოქალაქემ ბიუჯეტით გათვალისწინებული სტაციონარულ სამედიცინო მომსახურების, მედიკამენტების შეძენისა და ოპერაციის შემდგომი გამოკვლებისათის ისარგებლა 29,525 ლარის მომსახურებით.
5. მომართვის შესაბამისად მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებმა და მარჩენალდაკარგულმა ისარგებლა 750 ლარის სამედიცინო მომსახურებით
6. 0-დან 18 წლამდე ასაკის 57 პირს გაეწია 7 161 ლარის სამედიცინო მომსახურება, რაც შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულს.
7. თირკმლის უკმარისობით დაავადებული პირებისადმი, რომლებიც გადიან დიალეზის კურსს მომსახურება მიიღო 11 ბენეფიციარმა, რომლის მომსახურების ტრანსპორტირების ხარჯმა შეადგინა 18 480 ლარი.
8. სოციალური პროგრამის ფარგლებში 13 000 ლარის კომუნალური მომსახურების და კვების პროდუქტების ხარჯებისათვის დახმარება გაეწია ა(ა)იპ განათლების ცენტრს, რომელიც ემსახურება 6-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირებს.
9. გულის თანდაყოლილი პათოლოგიის დაავადებულ 0-დან 18 წლამდე ასაკის პირთა 10 ოჯახმა მიიღო 5000 ლარის დახმარება, ხოლო ამავე ასაკის ეპილეფსიით დაავადებულ პირთა 16 ოჯახმა 7500 ლარი. (პროგრამა ითვალისწინებდა 6000 და 10000 ლარს, თითოეულ ოჯახისათვის 500 და 600 ლარი წლის განმავლობაში).
10. 0-დან 18 წლამდე ასკის შშმ პირების მედიკამენტების შეძენისათვის გახარჯული იქნა 1398 ლარი (პროგრამით 1 ბენეფიციარზე გათვალისწინებული იყო 100ლ, სულ 7000ლ).
11. 2016 წელში ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან ჰემოფილიით დაავადებვულ 3 ბენეფიციარს გაეწია 1 100 ლარის ფულადი დახმარება.
12. გურიის რეგიონალური ინვალიდთა ასოციიაციას შშმ პირთა რეაბიტაციის ცენტრის მომსახურებით ისარგებლა 9 შშმ პირმა, მომსახურებისათვის გაიხარჯა 3360 ლარი.

2016 წლის ბიუჯეტით ბავშვებისა და ოჯახების სოციალური დაცვისათვის პროგრამით გათვალისწინებული იყო 194 600 ლარი, ხარჯმა კი შეადგინა 199,055 ლარი, რაც დაგეგმილს აღემატება 4,455 ლარით.

ამ მხივ თანხები მოხმარდა:

1. მრავალშვილიანმა (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვები) 22 ოჯახმა მიიღო 28 375 ლარის ფულადი დახმარება (რომელთა სარეიტინგო ქულა 65001-130 000-მდე).
2. ახალშობილთა 80 ოჯახს (სარეიტინგო ქულა 130 000-მდე) გაეწია 17 600 ლარის ფულადი დახმარება.
3. დედ-მამით ობოლი ბავშვების ოჯახმა მიიღო ფულადი დახმარება 2 400 ლარი (თვეში ერიცხება 100 ლარი).
4. მარტოხელა მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებისათვის გაიხარჯა 4 000 ლარი (14 პირის დაკრძალვა).
5. ხანდაზმული (100 წლის და მეტი ასაკის) 4 მოქალაქემ მიიღო ფულადი დახმარება 1 200 ლარი (თითოეულ მოქალაქეს 300 ლარი).
6. მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფი ოჯახებისადმი ერთჯერადი ფულადი დახმარება (სარეიტინგო ქულა 0-დან 150 000-მდე) პროგრამით გათვალისწინებული იყო 105 000 ლარი, ფაქტიურად კი გაიხარჯა 112 450 ლარი. ამ დახმარებით ისარგებლა 715 ოჯახმა (გაიხარჯა 7 450 ლარით მეტი).
7. 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირების ოჯახებმა (კომუნალური გადასახადი) მიიღეს 19 860 ლარის ფულადი დახმარება (სარგებლობს 55 ოჯახი, თითოეულ ოჯახს თვეში ერიცხება 30 ლარი).
8. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებმა და მარჩენალდაღუპულმა პურებმა ფაშიზმზე გამარჯვების 71-ე წლისთავთან დაკავშირებით მიიღეს ფულადი დახმარება, სულ 6 750 ლარის ოდენობით (თითოეულმა 300 ლარი, ხოლო სათბობი შეშის შესაძენად 200 ლარი).

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის N265 განკარგულებით სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 630 263 ლარი.

აქედან გზებისა და სანიაღვრე არხების რეაბილიტაციაზე 388 639 ლარი ,

ხიდების რეაბილიტაციაზე 48 538 ლარი, წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე 63 233 ლარი,

სარიტუალო დარბაზების აღჭურვა - რეაბილიტაციაზე 34 922 ლარი ,

სასაფლაოების რეაბილიტაციაზე 14 572 ლარი , საქუჩო განათებაზე 45 548 ლარი ,

2 ერთეული ტექნიკის (ტრაქტორის) შეძენა 22 452 ლარი, სასოფლო კლუბის რეაბილიტაციაზე 8 809 ლარი, მინისტადიონის რეაბილიტაციაზე 700 ლარი, სხვადასხვა სამუშაოებზე 2850 ლარი.

(სოფ.მხარდამჭერი პროგრამის პროექტირებისათვის 11 843ლარი) ჩატარებული ელ.ტენდერების შედეგად გამოვლენილი პრედეტენტების მიერ სამუშაოები დასრულებულია.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2015 წლის 23 ოქტომბერს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს 2016 წელში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამშენებლო საპროექტო-დოკუმენტაციის შედგენისათვის გამოეყო 105 800 ლარი. ჩატარებული ელექტრონული ტენდერების შედეგად შეძენილი იქნა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ხოლო მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის N175 დადგენილებით ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გამოეყო 2 688 610 ლარი, აქედან :

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, დაბა ჩოხატაურში კულტურის სახლის მშენებლობაზე (გარდამავალი პროექტი 2 წელზე მთლიანი ღირებულება 2 523 000 ლარი) 2016 წელში დაიხარჯა 1 447 000 ლარი , სამუშაოები დასრულებულია და ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების მიზნით გამგეობის მიერ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი ობიექტის ექსპერტიზის ჩასატარებლად. გამოვლინდა გამარჯვებული შპს „საქართველოს ექსპერტთა კოლეგია“. წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად კულტურის სახლის მშენებლობაზე ფაქტიურად შესრულებულმა სამუშაომ შეადგინა 2 411 951 ლარი, სახვაობამ სახელშეკრულებო ღირებულებასა და ფაქტიურად შესრულებულმა სამუშაოს ღირებულებას შორის შეადგინა 52 536 ლარი. ექსპერტიზა განხორციელდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილების შესაბამისად. ასევე დასრულებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები, კერძოთ:

დაბა ჩოხატაურში ნინოშვილის, გურიის, დუმბაძისა და კალანდაძის ქუჩების შემაერთებელი მონაკვეთის (კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე), გოგებაშვილის ქუჩის მეორე ნაწილის და კოსტავას ქუჩების (გორაბერეჟოულის გადასახვევთან) ა/ბეტონის საფარითა და ბეტონის სანიაღვრე არხებით მოწყობა, გოგიბერიძისა და ბენდელიანის ქუჩებზე ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა 463 998 ლარი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში საჭამიასერი-კოხნარის დამაკავშირებელი და შუა ფარცხმის გზის ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაცია 58 880 ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, დაბა ჩოხატაურში ყოფილი არქივის ,ყოფილი პოლიკლინიკის, გამგეობის ფასადების და მშენებარე კულტურის სახლთან მგზავრთა მოსაცდელის რეაბილიტაცია 135 445 ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში. სოფ ხიდისთავში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობაზე სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 199 980 ლარი, ხოლო ფაქტიურად შესრულებულმა სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა 191 556 ლარი. გატარებული საჯარიმო სანქციების შედეგად სხვაობამ შეადგინა 8 424 ლარი.

სოფ. ჯვარცხმაში კულტურის სახლის რეაბილიტაცია 143 333 ლარით დაფინანსდა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. გორა ბერეჟოულში ხანძრის შედეგად დამწვარი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა/რეაბილიტაციის ხარჯებმა 39 900 ლარი შეადგინა.

სოფ.ერკეთში საავტომობილო გზის ა/ბეტონის საფარის მოწყობა 99 952 ლარით დაფინანსდა.

სოფ. გორაბერეჟოული-ჯვარცხმის დამაკავშირებელი გზის ა/ბეტონის საფარის მოწყობა 100 012 ლარით დაფინანსდა.

ჩატარებული ელ.ტენდერების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 150 434 ლარი.

2016 წლის 2-4 და 14-17 იანვრის მომხდარი სტიქიის შედეგად მოსახლეობის დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავების აღდგენის სამუშაოებისათვის (სოციალურად დაუცველ მოსახლეობას) მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის N1340 განკარგულებით გამოეყო 223 140 ლარი.სულ დაზიანდა 110 საცხოვრებელი სახლის სახურავი შესყიდული იქნა შესაბამისი მასალები ,რომელიც დაურიგდა სოციალურად დაუცველ მოსახლეობას.

შესყიდვების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 16 869 ლარი. აღნიშნული თანხით სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის დამატებით იქნა შეძენილი სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავის მასალები .

საქრთველოს მთავრობის N485 განკარგულების შესაბამისად სტიქიის შედეგად დაზიანებული სოფელ ხიდისთავის საავტომობილო ხიდის აღდგენით სამუშაოებისთვის გამოიყო 1872 000 ლარი.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად ფაქტიურად შესრულებულმა სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა 1 664 338, ხოლო სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 1 699 999 ლარს. სხაობამ შეადგინა 35 661 ლარი.

მიმდინარე წლის 8 ივლისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენითისამუშაოებისათვის საქართველოს მთავრობამ 2016 წლის 18 ივლის N1409 განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 748 000 ლარი მათშორის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე დაიხარჯა 22 440 ლარი.

ჩატარებული ელ.ტენდერების შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული პრეტედენტები. ამჟამად სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენითი სამუშაოები დასრულებულია.

დასრულებული ელ.ტენდერების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 57 475 ლარი.

2016 წლის 9 ივლის მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ცენტრალური წყალსადენის წყალსაქაჩი სადგურის მიმდებარე ტერიტორიის აღდგენითი სამუშაოებისათვის 18 ივლისის N1533 განკარგულებით და სტიქიის შედეგად დაზიანებული ჩოხატაური-ბუკისციხის საავტომობილო გზის 100 მეტრიანი მონაკვეთის აღდგენის სამუშაოებისათვის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 902 000 ლარი. ელ.ტენდერების შედეგად აღნიშნულ ობიექტებზე გამოთავისუფლებულმა თანხამ შეადგინა 383 862 ლარი, მიღებული ეკონომიით განხორციელდა სტიქიის შედეგად დაზიანებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენითი სამუშაოები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში გაიცა 30 მშენებლობის ნებართვა, განხორციელდა 26 შეთანხმება სხვადასხვა ტიპის მშენებლობებზე. მშენებლობის მოსაკრებლის სახით ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულია 12 100 ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2016 წელში განხორციელებული იქნა ყველა ის უფლებამოსილება, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის კანონით და სამსახურის დებულებით იყო გათვალისწინებული.

2016 წელს მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული იქნა სახელმწიფო შესყიდვები. განხორციელდა ღონისძიებები საკანონმდებლო აღმასრულებელი ორგანოების შეუფერხებლად ფუნქციონირებისათვის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით.

სახელმწიფო შესყიდვები განხორციელებული იქნა საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ შესაბამისად მთავარი პრინციპების დაცვით, რაც წარმოადგენს ,,სახელმწიფო შესყიდვების“ კანონის მიზანს. კერძოდ, საანგარიშო

პერიოდში განხორციელებულმა შესყიდვებმა უზრუნველყო ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა. მუნიციპალიტეტის საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის, მომსახურეობის და სამუშაოს შესყიდვის პროცესში ხელი შეუწყო ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას. უზრუნველყოფილი იყო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დროს შესყიდვაში მონაწილეების მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომა, ამაღლდა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული შესყიდვების საჯაროობის დონე, რამაც საზოგადოებაში ხელი შეუწყო ჩვენს მიერ განხორციელებული შესყიდვების მიმართ ნდობის ჩამოყალიბებას. დაცული იყო ყველა განხორციელებული შესყიდვების გამჭვირვალობა.

2016 წელში მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული იქნა ადგილობრივი ბიუჯეტით 676 332 ლარის შესყიდვა, სახელმწიფო ბიუჯეტით 6754017 ლარის შესყიდვა, დადებული იქნა 282 ხელშეკრულება: გამარტივებული შესყიდვით - 228 ხელშეკრულება, გამარტივებული ელ ტენდერით - 36 ხელშეკრულება, ელექტრონული ტენდერით - 12 ხელშეკრულება, კონსოლიდირებული ტენდერით - 6 ხელშეკრულება.

სულ ჩატარებული იქნა 76 ტენდერი, მათ შორის: გამარტივებული ელექტრონული ტენდერი 36, ელექტრონული ტენდერი 12, უარყოფითი შედეგით დასრულდა 4, არ შედგა 18 ტენდერი, შეწყვეტილი იქნა 6 ტენდერი.

ტენდერებიდან გამოთავისუფლებულმა ეკონომიამ ადგილობრივ ბიუჯეტში შეადგინა 27531,50 ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს 2016 წელში სახელმწიფო ბიუჯეტით გამოიყო - 6 754 017 ლარი:

2016 წლის 4 თებერვლის N175 განკარგულებით (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ) გამოყოფილი იყო - 2 377 721 ლარი, რომელზეც გაფორმდა 11 ხელშეკრულება 1172396 ლარზე, საიდანაც თანადაფინანსების 5% - 58619,8 ლარი დაფინასნებულია ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ფაქტიურად აღნიშნული განკარგულებიდან ხელშეკრულებებზე გახარჯული დარჩა 113776,2 ლარი, ტენდერებიდან გამოთავისფლებულმა თანხამ (ეკონომია) შეადგინა - 150434 ლარი, რომელსაც გამოაკლდა ტენდერის ჩატარების საფასური - 575 ლარი და სრული ეკონომია დარჩა - 149859 ლარი.

2016 წლის 19 თებერვლის N265 განკარგულებით (სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ) გამოყოფილი თანხაა -

630263 ლარი. აღნიშნული განკარგულებით გაფორმდა - 54 ხელშეკრულება 592328,8 ლარზე, რომელზეც გაიხარჯა ტენდერის საფასური- 2575 ლარი.

2016 წლის 18 ივლისის N1340 განკარგულებით (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 223 140 ლარი. გაფორმდა 5 ხელშეკრულება - 222 901 ლარზე, რომელზეც გაიხარჯა ტენდერის ჩატარების საფასური - 225 ლარი.

2016 წლის 28 ივლისის N1409 განკარგულებით (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე) გამოყოფილი იყო 748 000 ლარი, აღნიშნული განკარგულებით გაფორმდა - 23 ხელშეკრულება - 746975 ლარზე, რომელზეც ტენდერის ჩატარების საფასური გაიხარჯა - 1025 ლარი.

2016 წლის 18 ივლისის N1533 განაკრგულებით (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 902 600 ლარი, რომელზეც გაფორმდა - 14 ხელშეკრულება 901935 ლარზე. აღნიშნული განკარგულებით ტენდერის ჩატარების საფასური გახარჯულია - 650 ლარი.

2016 წლის 21 მარტის N485 განკარგულებით (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების თაობაზე) გამოყოფილი თანხაა - 1872293 ლარი, რომელზეც გაფორმებულია 2 ხელშეკრულება. აღნიშნულ განკარგულებაზე ტენდერიდან გამოთავისუფლებული თანხა - 172293 ლარი 2016 წლის 16 სექტემბერს N1899 განკარგულებით (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ) მიიმართა 8 ივლისს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის საჭირო სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურებზე. აღნიშნული განკარგულებით გაფორმდა 8 ხელშეკრულება - 171 887,69 ლარზე, რომელზეც ტენდერის ჩატარების საფასული გაიხარჯა - 400 ლარი.

ტენდერების ჩატარებას უზრუნველყოფდა გამგებლის ბრძანებით შექმნილი სატენდერო კომისია - 5 კაცის და აპარატი - 4 კაცის შემადგენლობით. ჩატარებული იქნა სულ 228 კომისიის სხდომა.

ხელშეკრულების პირობების შესრულებას და მიღება-ჩაბარებას მომსახურეობისა და სამუშაოს კუთხით უზრუნველყოფდა გამგებლის ბრძანებით შექმნილი

ინსპექტირების ჯგუფი, რომლის მიერ ადგილზე ხორციელდა შესყიდვების ინსპექტირება და ხელშეკრულების პირობების შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება. მუნიციპალიტეტის მიერ დადებული ხელშეკრულებებიდან დღეის მდგომარეობით დაუსრულებელია 4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო. აღნიშნულ ხელშეკრულებებს ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე გაუგრძელდათ შესრულების ვადები.

ინსპექტირების ჯგუფის მიერ საჯარიმო სანქცია დაერიცხა 10 მიმწოდებელს, შავ სიაში განთავსებული იქნა 2 მიმწოდებელი. შესრულებულ მომსახურეობასა და სამუშაოებზე შედგენილი იქნა მიღება-ჩაბარების აქტები და ექსპერტიზის დასკვნები, გაცემული ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს ან აკრედიტირებული საექსპერტო ორგანოების მიერ. დასკვნების საფუძველზე ჩანს, რომ სამუშაოების შესრულების ხარისხი არის დამაკმაყოფილებელი.

2016 წელში სახელმწიფო შესყიდვები განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების კანონის შესაბამისად მონეტარული ზღვრების სრული დაცვით. კანონში ცვლილებების შესაბამისად შესყიდვები ხორციელდებოდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ყველა რეკომენდაციის გათვალისწინებით, დანერგილი იქნა შესყიდვების განხორციელება აუქციონის გარეშე, რამაც კიდევ უფრო გამჭვირვალე გახადა შესყიდვების განხორციელება.

საანარიშო პერიოდში, საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, ეტაპობრივად მიმდინარეობდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მუნიციპალიტეტში გადმოცემისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად მუნიციპალიტეტის საკუთრებას მიკუთვნებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რაგისტრაცია.

მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფოსთვის მოთხოვნილია გადმოსაცემად სულ 16 ერთეული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შემდგომი პრივატიზების მიზნით (3 ერთეული არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი სოფელ ნაბეღლავში სს ,,წყალი მარგებელი“-ს ,,ნაბეღლავი“-ს წყლის ჩამოსასხმელი ქარხნის ტერიტორიზე მისასვლელი გზისა და საავტომობილო ხიდის მ ოწყობის მიზნით; სოფ. შუაამაღლებაში 49 კვ მ; სოფ. ზემოსურებში 500კვმ; სოფ. ამაღლება 52 კვმ; დუმბაძის ქ. 888კვმ; კოსტავას ქ. 100კვმ; 9 აპრილის ქ. 101 კვმ; რუსთაველის ქ. 60კვმ; რუსთაველის ქ. 48 კვმ; დუმბაძის ქ. 42 კვმ; სოფ. ერკეთი

248კვმ (ყოფ. აბანოს შენობა-ნგებობა, დემონტაჟისათვის); სოფ. საჭამიასერში წისქვილი; სოფ. ბჟოლიეთში 350კვმ).

ასევე, მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი სხვადასხვა პროექტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფოსათვის მოთხოვნილია გადმოსაცემად დამატებითი ქონების სახით: სოფ. საჭამიასერში გადმოგვეცა 3 ერთეული შენობა-ნაგებობა მასზედ დამაგრებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთთან ერთად, შემდგომი საბავშვო ბაღის ფუნქციონირებისათვის; სოფ. კოხნარში მდებარე 343 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 98 კვმ; სოფ. ვაზიანში 161 კვ მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა; დ. ჩოხატაური, დუმბაძის ქ. 66 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 გაშენების ფართი 31,33 კვმ; სოფ. ხიდისთავი (მეწიეთი) 1130კვ მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1; სოფ, საჭამიასერში, მდებარე 2275 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1; სოფ. კოხნარი 181 კვ მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ყოფ. ამბულატორიის შენობა-ნაგებობა); სოფ. ერკეთი 860 კვმ (დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობა) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული (მშენებარე შენობა-ნაგებობა).

2016 წელში მუნიციპალური ქონების პრივატიზებიდან და სანებართვო პირობების დარღვევისათვის ჯარიმების სახით შემოსულმა თანხამ შეადგინა 273 444 ლარი.

2016 წლის 1 მარტიდან, მეწარმეობის განვითარების სააგენტომ გურიის რეგიონში, მათ შორის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში განაახლა პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომელიც ითვალისწინებს მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობას.

გამგეობის საინვესტიციო სამსახურმა 24 მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელს გაუწია კონსულტაცია და დაეხმარა ბიზნეს-საპროექტო წინადადებების მომზადებაში და დარეგისტრირებაში. პირველი ეტაპი, ოცდაოთხივე ბიზნეს იდეამ წარმატებით გადალახა. მეორე ეტაპზე საპროექტო წინადადებების მომზადებაში სამსახურმა ასევე აქტიური დახმარება გაუწია მუნიციპალიტეტის მოსახლეობას რის შედეგადაც 7 ბიზნესიდეა დაფინანსდა.

2016 წელს, მუნიციპალიტეტის მაშტაბით 18 ბიზნეს იდეა დაფინანსდა და მიღებული დაფინანსების ჯამურმა თანხამ შეადგინა 76,150 ლარი.

საანგარიშო პერიოდში შეიქმნა უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა რეესტრი, რომლებიც წარმატებით სწავლობენ და წარმატებით ეწევიან სხვადასხვა ბიზნეს საქმიანობას. აღნიშნული რეესტრის შექმნის მიზანი არის ის, რომ ქვეყნის გარეთ მოხდეს მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია, იდეების გაცვლა და ინვესტიციების მოზიდვა.

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და UNDP-სთან შეთანხმებით სექტემბრის თვეში დაიწყო მუნიციპალიტეტების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შექმნა, მათ შორის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტთან მიმართებაში. სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტებულია კულტურის, სოციალური, ინფრასტრუქტურის, საფინანსო და საინვესტიციო სამსახურების თანამშრომლების მიერ.

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა მაღალმთიან დასახლემაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების/შეწყვეტის საკითხის განხილვისა და შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენის მიზნით მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ შექმნილ სათათბირო ორგანოს საბჭოს ფუნქციონირება. საბჭოს ფუნქციონირებიდან დღემდე გაიმართა 17 სხდომა, რის შედეგადაც 161 მოქალაქეს მიეცა დადებითი რეკომენდაცია სტატუსის მინიჭების შესახებ, ხოლო პირველადი რეგისტრაციის შედეგათ, რომელიც წარიმართა საჯარაო რეესტრის მეშვეობით, მაღალმთიანი დასახლების მაცხოვრებლის სტატუსი სოფელ ზოტსა და ჩხაკაურაში მიენიჭა 709 მოქალაქეს.

საანგარიშო პერიოდში, გეგმაზომიერად მიმდინარეობდა მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის უზრუნვეყოფის კამპანია.
ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამრთლებრივი აქტის საფუძველზე რეზერვში ჩაირიცხა - 197 მოქალაქე. აქედან ზღვრული ასაკის შესრულების გამო -162. სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის გამო -35.
სამსახურის მიერ გაცემული იქნა რეზერვისტის დროებითი მოწმობა -24, სამხედრო სააღრიცხვო მოწმობა -79.
თავდაცვის სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში გაგზავნილია 5 მოქალაქე.
თავდაცვის სამინისტროდან შემოვიდა საკონტრაქტო სამსახურიდან დათხოვნილ მოქალაქეთა- 8 პირადი საქმე, რასაც გაუკეთდა სათანადო რეაგირებები.

სხავადასხვა უწყებიდან შემოსული მომართვების საფუძველზე სპეცილურ აღრიცხვაზე აყვანილი იქნა -12 მოქალაქე.

2016 წლის გაზაფხულზე პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილია 1999 წელში დაბადებული 95 ჭაბუკი.

თბილისის შემკრებ - გამანაწილებელ პუნქტში სამედიცინო კომისიაზე გადაყვანილი იქნა - 71 წვევამდელი. გეგმით გათვალისწინებული- 15 წვევამდელის ნაცვლად სამხედრო სავალდებულო სამსახურში ჩარიცხულ იქნა -18 წვევამდელი. ჯანმრთელობის მგომარეობის გამო გადაუვადდა გაწვევა - 53 წვევამდელს.

მუნიციპალიტეტის გამგეობაში რეგისტრაციაში გატარდა:

- სახელმწიფო კანცელარიიდან, საქართველოს პარლამენტიდან, სხვადასხვა სამინისტროებიდან, გურიის სამხარეო ადმინისტრაციიდან და მოქალაქეებიდან შემოსული 8212 კორესპონდენცია;
- ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი 2 165;
- შიდა კორეპონდენციის ბრუნვა შედგენს 2560 ერთეულს.
- მუნიციპალიტეტის გამგეობიდან გაიგზავნა 5598 კორეპონდენცია;

განხორციელდა 2016 წლის საქმეთა ნომეკლატურის შედგენა.

ვიზირება გაუკეთდა მუნიციპალიტეტის გამგებლის 2165 ბრძანებას.

განხორციელდა გამგეობის კანონიერი ინტერესების დაცვა სასამართლოში ადმინისრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე მიმდინარე სამართალწარმოების პროცესში.

გამგებელთან მიღებაზე იმყფებოდა 2 541-მდე მოქალაქე.

2016 წლის მაისის თვეში ,,საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში განხორცილებული ცვლილების თანახმად მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში შეიქმნა პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია. კომისია გასცემს პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების ან/და კონკრეტულ დღეს ყოფნის ფაქტის დამადასტურებელ ცნობას, რომელიც შესაძლებელია იყოს საქართველოს მოქალაქეობის დადგენის საფუძველი. აღნიშნული ცვლილებით მნიშვნელოვნად გაიოლდა მოქალაქეობის მინიჭების პროცედურა. კომისიას ხელმძღვანელობს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, კომისიის შემადგენლობაში საკრებულოს წევრებთან ერთად შედის იურიდიული განყოფილების უფროსი და

იურიდიული განყოფილების წამყვანი სპეციალისტი. 2016 წლის 1 ივლისიდან კომისიის მიერ განხილულია 5 საკითხი, რომელთაგანაც 4 შემთხვევაში პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების ან/და კონკრეტულ დღეს ყოფნის ფაქტი დადასტურდა, ხოლო 1 შემთვევაში არ დადასტურდა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში დაფიქსირდა საჯარო ინფორმაციის გაცემის 34 მოთხოვნა. ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ არ მიღებულა. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შესახებ მოთხოვნა არ შემოსულა. საჯარო დაწერსებულების მიერ შეგროვდა და დამუშავდა პერსონალურ მონაცემთა ბაზები. საჯარო მოსამსახურეთა მიერ ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს მოთხოვნათა დარღვევისა და პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების ფაქტი არ გამოვლენილა. საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2016 წელს გადახდილია 258 ლარი.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტში ჩატარდა 85 კულტურილ-სპორტული ღონიძიება. მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები ჩართული არიან კულტურის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ, კულტურის სტრატეგიის გრძელვადიანი პროგრამის შემუშავებაში.

გასული წლის შეჯამებისას შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო სოციალური პროგრამებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მხრივ გამორჩეული წელი.